

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

ტალღა XI

ჯანდაცვის სფეროს გამოწვევა:
ფარმაცევტული სექტორი



კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

#HSBarometer

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი


ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი ყოველ 6 თვეში ერთხელ ტარდება და იყენებს სტანდარტულ ინსტრუმენტს (ელ.კითხვარი) ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ დარგის სპეციალისტების მოსაზრებებისა და მოლოდინების წარმოსაჩენად.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ბარომეტრის მე-11 ტალღა ფარმაცევტულ სექტორზე ფოკუსირდა და წარმოგიდგენთ ჯანდაცვის სპეციალისტების მოსაზრებებს სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებზე.

რესპონდენტთა მოსაზრებები, სადაც შესაძლებელი იყო შედარდა ფაქტობრივ სტატისტიკურ მონაცემებს და სხვა კვლევით მტკიცებულებებს.

რატომ არის პრობლემა ფარმაცევტული დანახარჯი საქართველოში (1)

ფარმა დანახარჯის % ჯანდაცვის მთლიან დანახარჯში



წყარო: ჯანმოს მონაცემთა ბაზა - „ჯანმრთელობა ყველასათვის“
ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიში, საქართველო, 2016

- ევროპის ქვეყნებთან შედარებით საქართველო ფარმაცევტული დანახარჯის წილით ჯანდაცვის მთლიან დანახარჯში მოწინავე ადგილს იკავებს. 2016 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 36%-ს შეადგენს.

საკითხის აქტუალობა (2)

- ❖ საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში 2013 წელს გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმის - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შედეგად
 - ❖ ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მზარდია - 2016 წელს დანახარჯი 2.4-ჯერ არის გაზრდილი 2012 წელთან შედარებით (*ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიში, 2012-2016 წწ*)
 - ❖ ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯის ფორმირებაში ჯიბიდან გადახდების წილი იკლებს, თუმცა კვლავ წამყვანია და 2016 წლის მონაცემებით 55.6%-ს შეადგენს (*ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიში, 2016*)
 - ❖ მედიკამენტებზე დანახარჯის წილი ჯიბიდან გადახდებში სტაბილურად მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს ბოლო წლების განმავლობაში:
 - ❖ შინამეურნეობების ჯანდაცვის ხარჯების ძირითადი წილი (69%) მედიკამენტებზე მოდის (*მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, UNICEF 2017, Georgia HIT, WHO 2017*)
- ❖ საქართველოს მოსახლეობა სახელმწიფო ბიუჯეტის მთავარ პრიორიტეტად ჯანდაცვას ასახელებს - გამოკითხულთა 61% მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის გადანაწილებისას მთავარი ყურადღება ჯანდაცვაზე უნდა გამახვილდეს (*NDI, საზოგადოების განწყობა საქართველოში, ივნისი 2018*)

საკითხის აქტუალობა (3)

- ❖ ჭანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდის მიუხედავად, 2012 წლიდან 2015 წლამდე 6%-ით მოიმატა იმ ოჯახების რაოდენობამ, რომელთაც ჭანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯი დაუდგათ. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მოსაზრებებით კი ასეთი ოჯახების მატება მოსახლეობაში ფარმაცევტულ საშუალებებზე დახარჯული თანხების მატებასთან არის დაკავშირებული (სახელმწიფო დანახარჯების მიმოხილვა, მსოფლიო ბანკი 2017).
- ❖ ჭანდაცვის დაფინანსების ტვირთის შესამსუბუქებლად ჭანდაცვის სამინისტრომ 2017 წლის მაისიდან ახალი ცვლილება განახორციელა უმწეო მოსახლეობისთვის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებით.
- ❖ ამ და დარგში გატარებულ სხვა ცვლილებებთან დაკავშირებით ჭანდაცვის სპეციალისტები საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებენ.

ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში დაინტერესებულ მხარეებს რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

კვლევის ძირითადი მიზნებები


ჯანდაცვის სფეროში მიღწეული წარმატებები

- ❖ ბარომეტრის IX ტალღის მსგავსად, XI ტალღის რესპონდენტები ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელოვან წარმატებად ასახელებენ:
 - ❖ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიზაინის ცვლილებას - მოსახლეობის შემოსავლის დონის მიხედვით ბენეფიციარებისა და სარგებლის პაკეტის დიფერენცირებას,
 - ❖ უმწეო მოსახლეობის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ამოქმედებას,
 - ❖ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის დადებით შედეგებს. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სფეროს ერთერთ მნიშვნელოვან წარმატებად C ჰეპატიტის პროგრამის მიმდინარეობას ბარომეტრის რესპონდენტები მეხუთე ტალღიდან მოყოლებული ასახელებენ
- ❖ კვლევის მიმდინარე ტალღაში ჯანდაცვის სფეროში მიღწეული წარმატებების ნუსხას
 - ❖ პერინატალური რეგიონალიზაციის პროგრამა და
 - ❖ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის ამოქმედება შეემატა

ჯანდაცვის სფეროში არსებული გამოწვევები (1)

- ❖ ჯანდაცვის სფეროს წინაშე არსებული გამოწვევების ნუსხა თითქმის უცვლელია ბარომეტრის IX ტალღაში დასახელებულ გამოწვევებთან შედარებით და მოიცავს შემდეგს:

1. ჯანდაცვის დანახარჯების ხარჯთ-ეფექტურობა
2. მედიკამენტების ფასები და ხელმისაწვდომობა
3. სამედიცინო მომსახურების ხარისხი
4. სამედიცინო განათლების სისტემა
5. პირველადი ჯანდაცვა



- ❖ ბარომეტრის რესპონდენტების მიერ დასახელებული პირველი და ბოლო გამოწვევა ეხმიანება ჯანდაცვის სერვისების უტილიზაციის და ჯანდაცვის დანახარჯების კუთხით არსებულ ტენდენციებს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ
 - ❖ 2012 წლიდან 2017 წლამდე ამბულატორიული მიმართვიანობის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში გაიზარდა 9%-ით
 - ❖ 2012 წლიდან 2016 წლამდე მკვეთრად იმატა ძვირადღირებული ჰოსპიტალური სერვისების გამოყენებამ და განსაკუთრებით გადაუდებელი ოპერაციების უტილიზაციამ - დაფიქსირდა სერვისების მოხმარების დაახლოებით 300%-იანი მატება. აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან 2017 წლამდე გადაუდებელი ოპერაციების მოხმარება შემცირდა 21%-ით
 - ❖ 2012 წლიდან 2016 წლამდე სტაციონარულ მომსახურებაზე დანახარჯი გაზრდილია 14%-ით
 - ❖ ხოლო ამბულატორიულ მომსახურებაზე დანახარჯი შემცირდა 2%-ით

ჯანდაცვის სფეროში არსებული გამოწვევები (2)

- ❑ სფეროს მეორე მნიშვნელოვან გამოწვევად მედიკამენტების ფასები და მათზე ხელმისაწვდომობა სახელდება

რესპონდენტთა მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით თანხვედრაშია სხვა კვლევების მონაცემებთანაც:

- 2012 წლის შემდეგ მედიკამენტების ფასები ზრდის ტენდენციით ხასიათდება
- ორიგინალ ბრენდებზე ფასების ზრდის მიუხედავად მათზე ფიზიკური ხელმისაწვდომობა 2-ჯერ უფრო მაღალია გენერიკებთან შედარებით



მედიკამენტების ფასებისა და ფიზიკური ხელმისაწვდომობის კვლევა
საერთაშორისო ფონდი კურაციო, 2016

- შინამეურნეობების დაახლოებით 27.8% აღნიშნავს, რომ მედიკამენტების შეძენა მათთვის უმთავრესი პრობლემაა



მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, UNICEF 2017

- მედიკამენტებზე დანახარტი განსაკუთრებით პრობლემურია მოსახლეობის უღარიბესი კვინტილისთვის, რადგან სწორედ ამ ტიპის დანახარტის გამო მათი 90% განიცდის ჯანდაცვაზე კატასტროფულ დანახარტს



სახელმწიფო დანახარტების მიმოხილვა, მსოფლიო ბანკი 2017

ჯანდაცვის სფეროში არსებული გამოწვევები (3)

ფარმაცევტული სექტორი რომ ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ამაზე ასევე მიუთითებს შემდეგი მონაცემები:

- ჯანდაცვის მთლიან დანახარჯში წამყვანი წილი (36%) კვლავ მედიკამენტებზე დანახარჯს უჭირავს
- წამლების ძირითადი დამფინანსებელი შინამეურნეობებია (97%), ხოლო სახელმწიფოს წილი მწირია (1%)

ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიში, 2016წ

- მედიკამენტებზე დანახარჯი ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდება და მოსალოდნელია, რომ
 - 2022 წლამდე დანახარჯი საშუალოდ 7.5%-ით გაიზრდება წელიწადში

BMI Research, Georgia Pharmaceuticals & Healthcare Report, 2018

- მედიკამენტებზე დანახარჯის ტვირთი განსაკუთრებით მძიმეა ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვის:
 - ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯის 76% ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტების მიერ გადახდილი თანხებით არის შედგენილი, რომლებიც მედიკამენტებზე თვეში საშუალოდ 56 ლარს ხარჯავენ.

საქსტატი, საერთაშორისო ფონდი კურაციოს ანალიზი, 2017

ფარმაცევტული სექტორის გამოწვევები

- ბარომეტრის რესპონდენტები საკუთრივ ფარმაცევტული სექტორის გამოწვევებად, მედიკამენტების მაღალი ფასების გარდა, შემდეგს მიიჩნევენ:
 - მედიკამენტების დაბალი ხარისხი
 - არაკონკურენტული გარემო ბაზარზე
 - პოლიპრაგმაზია
 - სუსტად რეგულირებული ფარმაცევტული ბაზარი
- ფარმაცევტულ სექტორში არაკონკურენტულ გარემოსა და სუსტად რეგულირებულ ფარმაცევტულ სფეროზე სხვა წყაროებიც მიუთითებენ. კერძოდ,
- *ფარმაცევტული ბაზრის ნაკლებ კონცენტრაციასა და ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის - დაახლოებით 70-75% ოთხ-ხუთ მსხვილ კომპანიაზე გადანაწილებაზე საუბარი ქვემოთ მითითებულ ანგარიშებში:*
 1. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში, 2016
 2. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მიმოხილვა, 2017
 3. BMI Research, Georgia Pharmaceuticals & Healthcare Report, 2018
- *საქართველოში მედიკამენტებზე ფასნამატის მკვეთრ ზრდას სუსტად რეგულირებულ ფარმაცევტულ სფეროს უკავშირებენ.*
 1. საერთაშორისო ფონდი კურაციო, მედიკამენტების ფასების და ფიზიკური ხელმისაწვდომობის კვლევა, 2016
 2. BMI Research, Georgia Pharmaceuticals & Healthcare Report, 2018

ფარმაცევტულ სექტორში გამოწვევების საპასუხო ინიციატივები

- ბარომეტრის რესპონდენტები ფარმაცევტულ სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ ბოლო 1 წლის მანძილზე მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებში ასახელებენ შემდეგს:
 1. უმწეო მოსახლეობისთვის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ამოქმედებას
 2. ელექტრონული რეცეპტების ამუშავებას თბილისის მასშტაბით
 3. პოლიპრაგმაზიასთან ბრძოლის ახალ ინიციატივას
- აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები პოლიპრაგმაზიასთან ბრძოლის ახალი ინიციატივის ამოქმედების შედეგად
 - დანიშნული მედიკამენტების რაოდენობის და, შესაბამისად, პაციენტებში მედიკამენტებზე დანახარჯების შემცირებას ელიან. ასევე, მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესების მოლოდინიც აქვთ.
- თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა ნაწილი ინიციატივის წარმატებით განხორციელებას რისკებს უკავშირებს. კერძოდ,
 - ადმინისტრირების სირთულე ერთიანი მონაცემთა ბაზის არარსებობის შემთხვევაში
 - მონიტორინგის და შეფასების სრულყოფილი მექანიზმის არარსებობა

კვლევის შედეგები დეტალურად





1. ჯანდაცვის სფეროს ნარმატივები და გამოწვევები

ჯანდაცვის სფეროს ნარმატივები

- ბარომეტრის რესპონდენტთა აზრით, ბოლო 1 წლის განმავლობაში ჯანდაცვაში მიღწეული ნარმატივები შემდეგია

- ✓ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიზაინის ცვლილება - სარგებლის პაკეტის დიფერენცირება მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით
- ✓ უმწეო მოსახლეობისთვის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა
- ✓ C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის შედეგები - განკურნების მაღალი მაჩვენებლები
- ✓ პერინატალური რეგიონალიზაციის პროგრამა
- ✓ თამბაქოს საწინააღმდეგო კანონის ძალაში შესვლა

ჯანდაცვის სფეროს გამოწვევები

- ☐ რესპონდენტთა მოსაზრებით სფეროში არსებული გამოწვევების ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება

საყოველთაო ჯანდაცვის დანახარჯების ეფექტურობა

მედიკამენტების ფასი და ხელმისაწვდომობა

სამედიცინო მომსახურების ხარისხი

სამედიცინო განათლების სისტემა


პირველადი ჯანდაცვა

ამბულატორიული სერვისების უტილიზაცია (2012 - 2017)

ამბულატორიული მიმართვიანობა 1 სულ მოსახლეზე

ბარომეტრის რესპონდენტების მიერ დასახელებულ გამოწვევებს - **პირველადი ჯანდაცვის რგოლის სისუსტესა და ხარტ-ეფექტურობის მიღწევის აუცილებლობას** **ჯანდაცვის დაფინანსებაში** - ამყარებს ამბულატორიული სერვისის მოხმარების არც ისე სახარბიელო მაჩვენებლები, რომელიც 2015 წლის შემდეგ კლების ტენდენციით ხასიათდება:

- 2017 წელს ამბულატორიული მიმართვიანობის მაჩვენებელი 1-სულ მოსახლეზე 3.1-ია



— ამბულატორიული მიმართვიანობა 1 სულ მოსახლეზე
— ამბულატორიული მიმართვიანობა აბსოლუტურ ციფრებში (მილიონებში)


წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სტატისტიკური ცნობარი, 2017წ

ჰოსპიტალური სერვისების უტილიზაცია (2012 - 2017)

ხარტ-ეფექტურობის გამოწვევას ეხმიანება ასევე ძვირადღირებული ჰოსპიტალური სერვისის მოხმარების მაღალი მაჩვენებლები.

- განსაკუთრებით, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების მოხმარება, რომელიც 2012 წლიდან 2016 წლამდე 300%-ით გაიზარდა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლიდან 2016 წლამდე
- გადაუდებელი ოპერაციების მოხმარება შემცირდა 21%-ით
- ხოლო გეგმიური ოპერაციების მოხმარება 8%-ით


ჰოსპიტალური სერვისების უტილიზაცია



წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სტატისტიკური ცნობარი, 2017 წ

ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით (2012-2016)


სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე
და მედიკამენტებზე დანახარჯების ცვლილების
დინამიკა ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში
(2012 – 2016 წწ)



- ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტებზე დანახარჯი კვლავ წამყვანია საქართველოში
- 2012 წლიდან 2016 წლამდე ძვირადღირებული ჰოსპიტალური სერვისების უტილიზაციის ზრდასთან ერთად
 - 14%-ით არის გაზრდილი სტაციონარულ მომსახურებაზე დანახარჯი ჯანდაცვის მთლიან დანახარჯში
 - ხოლო 2%-ით არის შემცირებული ამბულატორიულ მომსახურებაზე დანახარჯის წილი

ფარმაცევტული დანახარჯების სტრუქტურა საქართველოში

მედიკამენტებზე დანახარჯები, 2016 წ




2016 წლის ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ


- წამლების ძირითადი დამფინანსებელი შინამეურნეოებებია (97%), ხოლო სახელმწიფოს წილი მწირია (1%)

წამლის მოხმარება საქართველოში

შინამეურნეობების საშუალო თვიური
ხარჯი წამალზე (ლარი/თვე)




წამლის დანახარჯი მლნ ლარი (%)




სტაციონარულ და ამბულატორიულ დანახარჯებში სახელმწიფო და კერძო სექტორის წილი

დანახარჯები ამბულატორიულ
მომსახურებაზე (2016წ)



დანახარჯები სტაციონარულ
მომსახურებაზე (2016წ)



წყარო: ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშები (2016 წ)

2016 წლის ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშის მიხედვით

- სტაციონარულ მომსახურებაზე დანახარჯების ფორმირებაში სახელმწიფოს წილია წამყვანი და შეადგენს 70.5%-ს,
- ხოლო ამბულატორიულ მომსახურებაზე დანახარჯების ფორმირებაში კერძო სექტორის წილია წამყვანი (56%)

როგორ ეხმიანება ბარომეტრის რესპონდენტთა მოსაზრებები მედიკამენტების ფასებსა და ხელმისაწვდომობაზე, როგორც ჯანდაცვის სფეროს გამომწვევაზე, სხვა კვლევების მონაცემებს?


- ❖ ბარომეტრის XI ტალღის რესპონდენტთა მოსაზრებით, ჯანდაცვის სფეროს მეორე მნიშვნელოვან გამოწვევას მედიკამენტების ფასები და მათზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.
- ❖ მედიკამენტებზე ფასების ზრდის ტენდენციაზე მიუთითებს 2016 წელს ჩატარებული „მედიკამენტების ფასების და ხელმისაწვდომობის კვლევა“, რომლის მიხედვითაც:
 - ❖ 2012 წლის შემდეგ მედიკამენტების ფასები ზრდის ტენდენციით ხასიათდება
 - ❖ ორიგინალ ბრენდებზე ფასების ზრდის მიუხედავად მათზე ფიზიკური ხელმისაწვდომობა 2-ჯერ უფრო მაღალია გენერიკებთან შედარებით (მედიკამენტების ფასების და ხელმისაწვდომობის კვლევა, საერთაშორისო ფონდი კურაციო 2016)
- ❖ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას ასევე ხაზს უსვამს „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგები და მსოფლიო ბანკის ანგარიში, რომლის მიხედვითაც:
 - ❖ შინამეურნეობების დაახლოებით 27.8% აღნიშნავს, რომ მედიკამენტების შეძენა მათთვის უმთავრესი პრობლემაა (მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, UNICEF 2017)
 - ❖ მედიკამენტებზე დანახარტი განსაკუთრებით პრობლემურია მოსახლეობის უღარიბესი კვინტილისთვის, რადგან სწორედ ამ ტიპის დანახარტის გამო მათი 90% განიცდის ჯანდაცვაზე კატასტროფულ დანახარტს (სახელმწიფო დანახარტების მიმოხილვა, მსოფლიო ბანკი 2017)



2. ფარმაცევტული სექტორის გამოწვევები და სამთავრობო ინიციატივები

ფარმაცევტული სფეროს გამოწვევები

- რესპონდენტების აზრით ფარმაცევტული სექტორის წინაშე შემდეგი გამოწვევები დგას:



როგორ ეხმარება ბარომეტრის რესპონდენტთა მოსაზრებები ფარმაცევტულ საქმეებში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით სხვა კვლევების შედეგებს? (1)

- ბარომეტრის რესპონდენტთა მოსაზრებები არაკონკურენტულ ფარმაცევტულ ბაზარსა და სუსტად რეგულირებულ ფარმაცევტულ სფეროსთან დაკავშირებით თანხვედრაშია შემდეგი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში მითითებულ მონაცემებთან:
 - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო „ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში“ 2016
„ფარმაცევტული ბაზარი საბაზრო ძალაუფლების არც თუ ისე მკაფიო კონცენტრაციით ხასიათდება. 2015 წლის იმპორტის მონაცემებზე დაყრდნობით, ბაზრის დაახლოებით 70% ხუთ მსხვილ კომპანიაზეა გადანაწილებული“
 - BMI Research, Georgia Pharmaceuticals & Healthcare Report, 2018
„ბაზრის მნიშვნელოვანი წილი - 75% ოთხ მსხვილ ფარმაცევტულ კომპანიაზეა გადანაწილებული“
 - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მიმოხილვა, 2017
„2017 წლის იანვრის მონაცემებით ფარმაცევტული ბაზრის 70% ოთხ მსხვილ კომპანიას უჭირავს“
 - საერთაშორისო ფონდი კურაციო, მედიკამენტების ფასების და ფიზიკური ხელმისაწვდომობის კვლევა, 2016
აღნიშნული წყაროები „საქართველოში მედიკამენტებზე ფასნამატის მკვეთრ ზრდას სუსტად რეგულირებულ ფარმაცევტულ სფეროს უკავშირებენ“

ფარმაცევტული სფეროს გამოწვევების საპასუხო ნაბიჯები


- ბოლო 1 წლის მანძილზე მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები დარგის გამოწვევების საპასუხოდ:

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა სოციალურად დაუცველთათვის

ელექტრონული რეცეპტების დანერგვა თბილისის მასშტაბით

პოლიპრაგმაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივა

ფარმაცევტული სფეროს რეგულირების მიზნით გადადგმული ნაბიჯების ადეკვატურობა



- აბსოლუტურად ადეკვატური
- ნაკლებად ადეკვატური
- საერთოდ არ არის ადეკვატური
- არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

- რესპონდენტები სექტორის ერთერთ გამოწვევად სუსტად რეგულირებულ ფარმაცევტულ სფეროს მიიჩნევენ,
- თუმცა აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯების ადეკვატურობის შეფასებისას რესპონდენტთა 78.2% მათ ადეკვატურად არ მიიჩნევს.

პოლიკრაზმაზიასთან ბრძოლის ახალი ინიციატივა - რესკონდენძთა მოლოდინები

პოზიტიური მოლოდინი

- შეამცირებს დანიშნული მედიკამენტების რაოდენობას
- შეამცირებს მედიკამენტებზე დანახარჯს პაციენტებში
- გააუმჯობესებს მკურნალობის ხარისხს


განხორციელების რისკი

- ადმინისტრირების სირთულე ერთიანი მონაცემთა ბაზის არარსებობის შემთხვევაში
- მონიტორინგის და შეფასება სრულყოფილი მექანიზმის არარსებობა



3. მედიკამენტების ფასები და ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ფინანსური დაცულობა


მედიკამენტების ფასები




- ბარომეტრის რესპონდენტთა უმრავლესობა მედიკამენტების გაძვირებას მეოთხე ტალღიდან მოყოლებული აღნიშნავს.

მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა

- რესპონდენტთა უმრავლესობა (62.1%) ბოლო 6 თვის მანძილზე მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუარესებას აღნიშნავს.



სამედიცინო მომსახურების ფასები



- რესპონდენტთა უმრავლესობა (66.7%) ბოლო 6 თვეში სამედიცინო მომსახურების გაძვირებას აღნიშნავს.

როგორ დარდება ბარომეტრის რესპონდენტთა მოსაზრებები ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს?

2018 წლის პირველ ნახევარში ჯანდაცვაზე ფასები
მცირედ, მაგრამ მომატებულია (1.4%)


ამავე პერიოდში

- სამედიცინო პროდუქცია (წამლები), აპარატურა და
მოწყობილობა გაძვირდა 1.8%-ით
- ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება
გაძვირდა 2.1%-ით

წყარო: საქსტატი, ფასების და ინფლაციის სამმართველო

- ბარომეტრის რესპონდენტთა
მოსაზრებები ბოლო 6 თვის
მანძილზე წამლების და
სამედიცინო მომსახურების
გაძვირებასთან დაკავშირებით
თანხვედრაშია საქსტატის
ოფიციალურ მონაცემებთან.

ჯიბიდან გადახდები




- IX ტალღასთან შედარებით დაახლოებით 20%-ით იმატა იმ რესპონდენტების რაოდენობამ, რომლებიც ბოლო 6 თვის განმავლობაში ჯიბიდან გადახდების მატებას აღნიშნავენ
- შესაძლოა, რესპონდენტთა შეფასებები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიზაინის ცვლილებას უკავშირდებოდეს და ჯანდაცვაზე ფასების ზრდას უკავშირდებოდეს




4. სამომავლო მოლოდინები

მედიკამენტების ფასები მომდევნო 6 თვის განმავლობაში



- 13.5%-ით შემცირდა იმ რესპონდენტთა მოსაზრებები, რომლებიც მომდევნო 6 თვის მანძილზე მედიკამენტების გაძვირებას ელიან.

მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა მომდევნო 6 თვის განმავლობაში



- მნიშვნელოვნად /ოდნავ გაუმჯობესდება
- არ შეიცვლება
- ოდნავ / მნიშვნელოვნად გაუარესდება
- არვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

- ბარომეტრის რესპონდენტთა 41.3% მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის ცვლილებას მომდევნო 6 თვის განმავლობაში არ ელის.

ცნობები კვლევის რესპონდენტთა შესახებ

- კვლევაში მონაწილეობა მიიღო 76-მა რესპონდენტმა, შემდეგი ტიპის ორგანიზაციებიდან
 - სამთავრობო სტრუქტურები
 - სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები
 - საერთაშორისო ორგანიზაციები
 - პროფესიული ასოციაციები და სადაზღვევო ორგანიზაციები
 - კვლევითი საექსპერტო ჯგუფები
- საკმარისი ექსპერტული და ასაკობრივი ცენზით და გენდერული განაწილებით
 - მონაწილეთა დაახლოებით 90%-ს ჯანდაცვის სფეროში მუშაობის 10 წლიანი და მეტი გამოცდილება აქვს
 - მონაწილეთა 84%-ის ასაკი 40 წელზე მეტია
 - რესპონდენტთა 51% ქალია

კვლევა ჩატარდა 2018 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

www.curatiofoundation.org

თვალი ადევნეთ ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრს, რომელიც ყოველ 6
თვეში ერთხელ ქვეყნდება
საერთაშორისო ფონდი კურაციოს
ვებ-გვერდზე და ძირითადი მიგნებები
ვრცელდება სოციალურ ქსელებზე



კურაციო
საერთაშორისო
ფონდი